ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N39

2023 წელი; 21 ნოემბერი; 10:30 სთ;

ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
არჩილ გორდულაძე
ლილე ლიპარტელიანი
დავით ფარცვანია

მოწვეული პირები:

- გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;

- ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

- ვასილ აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;

- ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;

- თამარ ბიწაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;

- თამარ ბერუაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის თავმჯდომარე:
ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20 122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

4. „„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

7. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

9. ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა №173-ში, კორპუს №5-სა და კორპუს №6-ში (საკადასტრო კოდები: №01.16.09.001.001 და №01.16.09.001.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

10. „ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N2-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 177 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.10.14.014.052) 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სმარტ გრუპ +“-ისთვის (ს/ნ: 405602441) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

11. „ქ. თბილისში, თაყაიშვილის ქ. N4-ის მიმდებარედ არსებული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.011.016) პირდაპირი განკარგვის წესით აკაკი კუჭაშვილისთვის (პ/ნ: 01019017918) და იზოლდა ქუთელიასთვის (პ/ნ: 01008003735) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

12. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელესთვის“ (ს/ნ: 422432665) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

13. „ქ. თბილისში, შარტავას ქ. №3 (ს/კ № 01.10.13.015.112), შარტავას ქ. №1 (ს/კ №01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ №01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ№16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ №01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ № 45-47-49 (ს/კ №01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ბოხუას ქ. №10, (ს/კ №01.13.02.005.006) მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ № 01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და ამხანაგობა „ვაშლიჯვარი“-ს (ს/ნ 205394633) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზა, მუხრან მაჭავარიანის ქ. №18-ში (ს/კ: №01.10.18.006.221) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ნოემბრის №535

განკარგულების და „მისამართზე - ქ. თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზა, მუხრან მაჭავარიანის ქ. №18-ში (ს/კ.№01.10.18.006.221) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, გაცემული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში - ი.ბ.ა „ვაშლიჯვარის" (ს/ნ. 205394633) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის შეთანხმების თაობაზე" 2023 წლის 21 თებერვლის №72 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

14. „ქ. თბილისი, შარტავას ქ. №1 (ს/კ N 01.10.13.015.114), ქ. თბილისი, შარტავას ქ №3 (ს/კ. №01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115);ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის ცამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ №01.10.10.025.029); ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ. N 01.14.03.039.007); ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ №45-47-49 (ს/კ №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142); ქ. თბილისი, ბოხუას ქ. №10, (ს/კ. №01.13.02.005.006) -არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ 204460957) და შპს „1ინვესტმენტის" (ს/ნ. 405193277) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, გორგასლის ქ, №6 (ს/კ.№01.18.05.001.006) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის N343 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

15. „ქ. თბილისი, შარტავას ქ. №1 (ს/კ. №01.10.13.015.114); ქ. თბილისი, შარტავას ქ. №3 (ს/კ №01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ. №01.10.06.001.115),ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ. №01.10.10.025.029); ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ. №01.14.03.039.007); ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ. № 45-47-49 (ს/კ. №01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ქ. თბილისი, ბოხუას ქ. №10, (ს/კ. № 01.13.02.005.006) -არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ 204460957) და შპს „ტიფლისის" (ს/ნ. 400232645) მიმართ მისამართზე ქ. თბილისი ქუჩა გორგასალი, №34, ქ. თბილისი ვახტანგ გორგასლის ქუჩა №34ბ-ში (ს/კ 01.18.09.004.106) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს №394 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

16. „ქ. თბილისში, შპს „ათორის" (ს/ნ. 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

17. „მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ.N4 (ს/კ 01.10.11.001.116) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის შპს „გელოვანის" (ს/კ 405411157) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის

შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

18. მისამართზე - ქ. თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ. N40 (ყოფილი ქუჩა აკური, N33, ქუჩა ალმასიანი N40, N42, N44, N46 (ნაკვეთი 35/31) (საკადასტრო კოდი: 01.10.13.035.053) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით მისამართზე - ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.350) ახლანდელი საკადასტრო კოდი: 01.14.01.007.399) არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

19. "განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ლევან მიქავამ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - პირველ საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, დედაქალაქის საკრებულოში, წარმოდგენილია, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის საფუძველზე და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებით დამტკიცებულ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელებას, მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით. მომხსენებლისვე მითითებით, პროექტის შესაბამისად, ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 1 826 328,8 ათას ლარს, რაც ასიგნებების ზრდის თვალსაზრისით, უნდა განაწილდეს, მათ შორის, შემდეგ პროგრამებსა/ქვეპროგრამებზე:

- გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში - 252,0 ათასი ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში - 100,0 ათასი ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში - 16,0 ათასი ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში - 240,0 ათასი ლარით;
- ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება - 580,0 ათასი ლარით;
- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია - 1 815,1 ათასი ლარით;
- ღონისძიებების უზრუნველყოფა - 4 621,3 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში - 100,5 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში - 16.0 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში- 40,1 ათასი ლარით;
- დასუფთავების ღონისძიებების - 10 095,0 ათასი ლარით;
- ბიზნესის სტიმულირება - 825,7 ათასი ლარით;
- დაავადებათა სკრინიგი - 500,0 ათასი ლარით;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია - 291,0 ათასი ლარით;
- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება - 199,8 ათასი ლარით;
- უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში - 22,0 ათასი ლარით;
- სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები - 1 103,5 ათასი ლარით;
- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში - 100,0 ათასი ლარით;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 6 500,0 ათასი ლარით;
- კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა - 385,0 ათასი ლარით;
- ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა - 268,0 ათასი ლარით;
- ქ. თბილისის საკრებულო - 900,0 ათასი ლარით.

მომხსენებლის მითითებით, წარმოდგენილი პროექტით მცირდება, მათ, შორის, შემდეგი პროგრამები/ქვეპროგრამები:

- გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში - 84,7 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში - 16.0 ათასი ლარით; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები - 3 000,0 ათასი ლარით; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია - 10 000,0 ათასი ლარით;

- კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში - 252,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში - 100,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში - 240,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა - 1 000,0 ათასი ლარით, ავარიული სახლების ჩანაცვლება - 1 000,0 ათასი ლარით, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები - 313,1 ათასი ლარით, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში - 31,4 ათასი ლარით, შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა - 40,0 ათასი ლარი;
- სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება - 10,0 ათასი ლარით, საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები 284,0 ათასი ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა - 115,0 ათასი ლარით, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია - 75,0 ათასი ლარით,
- ბიწათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში - 15,9 ათასი ლარით, ხოლო, სამგორის რაიონში - 56.1 ათასი ლარით;
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება - 100,0 ათასი ლარით, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება - 40,0 ათასი ლარით,
- მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა - 16,5 ათასი ლარით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება - 304,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში - 48,4 ათასი ლარით, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში - 50,0 ათასი ლარით, სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია)- 31,5 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება - 1 250,0 ათასი ლარით, მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა - 5,5 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება - 21,5 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება - 34,9 ათასი ლარით, შინმოვლის თანადაფინანსება- 78,0 ათასი ლარით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა - 136,0 ათასი ლარით;
- ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა - 70,0 ათასი ლარით, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა - 198,0 ათასი ლარით, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა - 37,5 ათასი ლარით, თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი - 100,0 ათასი ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა - 185,0 ათასი ლარით, შემოქმედებითი თბილისი - 100,0 ათასი ლარით,
- მერიის ადმინისტრაცია - 5 068,7 ათასი ლარით, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) - 4 700,0 ათასი ლარით, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტი - 2 986,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა - 50,0 ათასი ლარით, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება - 3 381,1 ათასი ლარით.

ლევან მიქავამ კომისიის წევრებს ასევე მიაწოდა ინფორმაცია, რომ წარმოდგენილი პროექტით, ზუსტდება ბიუჯეტით განსაზღვრულ მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ: გაიზარდა ქალაქის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა 18 ერთეულით, ხოლო, შემცირდა მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ - მუზეუმების გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობა 7 ერთეულით, შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 11 ერთეულით და მთლიანობაში განისაზღვრა 4788 ერთეულით.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 688 534,6 ათასი ლარის ოდენობით, ნაშთის ცვლილება - 137 794,2 ათასი ლარით, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 1 628 434,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო, **გადასახადები 884 569,6 ათასი ლარი, მათ შორის:**

- საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 208 000,0 ათასი ლარი;
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 26 000,0 ათასი ლარი;
- მიწაზე ქონების გადასახადი – 16 000,0 ათასი ლარი;
- დამატებული ღირებულების გადასახადი – 634 569,6 ათასი ლარი.

✓ **გრანტები კი - 456 112,8 ათასი ლარი, მათ შორის:**

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 557,8 ათასი ლარი;
- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 555,0 ათასი ლარი;
- კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 440 000,0 ათასი ლარი;
- სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 15 000,0 ათასი ლარი.

მომხსენებელმა ასევე დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა დაინტერესება გამოხატა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობებში, სოციალური მიმართულების პროექტების დაფინანსებისათვის საჭირო რაოდენობის ასიგნებების არსებობასთან დაკავშირებით, ვინაიდან, მისივე მითითებით, ადგილი ჰქონდა მოქალაქეთა მიერ წარდგენილი განცხადებების დაკმაყოფილების თაობაზე უარყოფით გადაწყვეტილებებს, რაზეც, საკითხის მომხსენებელმა განმარტა, რომ არსებული მოცემულობით, რაიონულ გამგეობებს, სოციალური პროექტების შესრულების მიმართულებით, გააჩნიათ, დასახული გეგმების შესასრულებლად, აუცილებელი/საკმარისი რაოდენობის ასიგნებები, ასევე, დასძინა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია, მათ, შორის რაიონული გამგეობების დამატებითი მოთხოვნების/გადანაწილების შესახებ წინადადებები, რომელთა შესაბამისადაც, ხორციელდება ასიგნებების განაწილება ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე.

ლევან მიქავას განმარტებით, წარმოდგენილი რედაქცია, ემსახურება მუნიციპალიტეტის არსებული საჭიროებების სათანადო სახით დაკმაყოფილებას, თუმცა, მიმდინარე მდგომარეობით, რაიონულ გამგეობებს გააჩნიათ სათანადო საბიუჯეტო ასიგნებები, მიზანშეწონილობის დადგენით, განიხილონ, სოციალური მიმართულებით, მოქალაქეთა დაფინანსების თხოვნის თაობაზე განცხადებები.

გადაწყვიტეს:
დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და დამოუკიდებელმა დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
2. თამარ ბერუაშვილძა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-2 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილების პირველი მუხლის „თ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წეს“-ში (დანართი N8) ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებას, რაც, მისივე განმარტებით, განაპირობა ქვეპროგრამის ფარგლებში ელექტრონული მოდულის დანერგვამ, კერძოდ, მიმართვების ადმინისტრირების ელექტრონულ მოდულზე გადასვლით, გაჩნდა საჭიროება დაზუსტებულიყო: ქვეპროგრამის მოსარგებლეების კრიტერიუმები, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, მოსარგებლეების ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურა, მიმწოდებელთან ანგარიშგება და ანაზღაურება, მოთხოვნის განხილვისა და დაფინანსების პროცედურების დეტალურად გაწერა, კონტროლის განხორციელებისა და შესრულებული სამუშაოს ინსპექტირების ღონისძიებები, დადგენილების პროექტის შემუშავებითა და წარმოდგენით, შემდეგი სახით:

✓ სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების ქვეპროგრამის წესში გაჩნდება პირველი პრიმა მუხლი - „ტერმინთა განმარტება“, რითაც დეტალურად გაიწერება წესში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობები, სადაც გარდა უკვე არსებულისა, განიმარტება ახალი ტერმინები:

✓ მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისთვის ქვეპროგრამის განმახორციელებელს მოთხოვნას წარუდგენს მოდულში, ხოლო, ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით პირმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს მომსახურების შესაბამის მიმწოდებელს.

✓ განისაზღვრება მომსახურების მიმწოდებლის მიერ, მოდულის მეშვეობით ელექტრონულად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა;

✓ განისაზღვრება ასევე, მომსახურების მიმწოდებლის მიერ მოდულის მეშვეობით წარმოდგენილი მოთხოვნის მიღების შემდგომ, ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ, მოთხოვნის განხილვის პროცედურები და დაფინანსების მოქმედების ვადები;

✓ მე-7 მუხლის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებით განისაზღვრება, რომ: ანაზღაურების ეტაპზე, ქვეპროგრამის განმახორციელებელი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურში აგზავნის წერილს, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, შესაბამის სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე თანხის

გადარიცხვის მოთხოვნით; შესრულებული სამუშაოს შესაბამისი თანხის ანაზღაურება მოხდება მომსახურების მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი ინფორმაციის დოკუმენტური ინსპექტირების შემდეგ, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურისათვის ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ წერილის მომზადება, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, შესაბამის სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე თანხის გადარიცხვის მოთხოვნით; ასევე განისაზღვრება, რომ მოსარგებლის მხრიდან თანხის წინასწარი გადახდისას, აღნიშნული შემთხვევა აღარ ექვემდებარება ანაზღაურებას;"

✓ წარმოდგენილი ცვლილებებით, განისაზღვრება შესრულების სამუშაოს ინსპექტირება, ნაცვლად - შესრულების სამუშაოს შემოწმებისა და ინსპექტირებისა;

✓ ჩნდება „კონტროლის განხორციელების" მუხლი, რითაც, წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულების კონტროლი განხორციელდება პროგრამების მონიტორინგის განყოფილების მიერ, წინასწარ შერჩეული შემთხვევების ინსპექტირების გზით.

მოხსენების მიწურულს, თამარ ბერუაშვილმა დასძინა, რომ პროექტის ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია - 2023 წლის 1 დეკემბერი, პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და ზეგავლენას - გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის ტექსტუალური ნაწილის მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე. კომისიის თავმჯდომარემ ყურადღება ასევე გაამახვილა, დადგენილების პროექტით წარმოდგენილ შემდეგ ღონისძიებაზე:

„იმ შემთხვევაში, თუ შემოწმებისას გამოვლინდა, რომ მომსახურების მიმწოდებელმა მერიის მიერ ჩარიცხული თანხა (დაფინანსებული თანხა) გადაახდევინა მოსარგებლეს, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია უკან დააბრუნოს აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში ქვეპროგრამიდან გამოყოფილი თანხა და გადაიხადოს ჯარიმა მიღებული დაფინანსების სამმაგი ოდენობის სახით".

კომისიის თავმჯდომარემ ზემოაღნიშნული ჩანაწერის თანმდევად, მიზანშეწონილად მიიჩნია, <u>დადგენილება ითვალისწინებდეს, იმ მომწოდებელი ორგანიზაციის ქვეპროგრამაში მიმწოდებლად დარჩენის საკითხის რეგულირებას, რომელიც, მიუხედავად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თანხის ჩარიცხვისა (დაფინანსებული თანხა), მოსარგებლეს გადაახდევინებს სახსრების ენდოპროთეზირების საფასურს,</u> ასევე, დასძინა, რომ მიზანშეწონილია, აღნიშნული შემთხვევის დადგომისას, <u>ქვეპროგრამიდან გამოყოფილი თანხის დაბრუნებისა და ჯარიმის გადახდამდე, მიმწოდებელს შეეზღუდოს, მოდულის მეშვეობით, ქვეპროგრამის განმახორციელებლისათვის მიმართვის უფლება.</u>

ამრიგად, კომისიის თავმჯდომარემ გასცა შემდეგი რეკომენდაცია:

✓ გადაიხედოს იმ მომწოდებელი ორგანიზაციის ქვეპროგრამაში მიმწოდებლად დარჩენის საკითხის რეგულირება, რომელიც, მიუხედავად, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თანხის ჩარიცხვისა (დაფინანსებული თანხა), მოსარგებლეს გადაახდევინებს სახსრების ენდოპროთეზირების საფასურს.

საკითხის მომხსენებლის მიერ გაზიარებულ იქნა კომისიის მიერ მითითებული შენიშვნები/რეკომენდაციები.

გადაწყვიტეს:
დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული <u>შენიშვნების/რეკომენდაციის</u> გათვალისწინებისთ, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ვასილ აბულაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-3 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულება"-ში (შემდეგში - დებულება) ცვლილების შეტანას, რაც მომხსენებლისვე განმარტებით, გამოწვეულ იქნა შემდეგ გარემოებათა გამო:

✓ დებულების მოქმედი რედაქციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ჭ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტოს ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს - გზებზე, საგზაო ნაგებობებზე, მიწისქვეშა კომუნიკაციებზე და რკინიგზის გადასასვლელებზე ჩასატარებელი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სქემების შეთანხმება, ხოლო - მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების შესაბამისად სააგენტოს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამსახურის უფლებამოსილებებს მიეკუთვნება:

„ბ) გზებზე, საგზაო ნაგებობებზე, მიწისქვეშა კომუნიკაციებზე და რკინიგზის გადასასვლელებზე ჩასატარებელი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში დროებითი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების შეთანხმება ან/და შესათანხმებლად წარდგენა სააგენტოს ხელმძღვანელობასთან;

გ) მშენებლობის ნებართვის არქიტექტურული პროექტების შეთანხმებისას ჩასატარებელი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში დროებითი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების შეთანხმება ან/და შესათანხმებლად წარდგენა სააგენტოს ხელმძღვანელობასთან;"

ვასილ აბულაძის განმარტებით, ვინაიდან, სათანადო ნორმატიული აქტით დამტკიცებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს დებულებით, აღნიშნული იურიდიული პირის სანებართვო სამმართველოს უფლებამოსილებას

განეკუთვნება: „ხაზობრივი ნაგებობის განთავსებისთვის/სამუშაოების წარმოებისთვის საჭირო დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემის დამზადება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან, ასევე შესაბამის ორგანოებთან შეთანხმების უზრუნველყოფა", აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და აღნიშნული სააგენტოს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამსახურის ფუნქციებიდან ამოღებულ იქნას სათანადო მოძრაობის სქემების მომზადების საკითხი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის წარმოდგენით, რაც დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ხოლო, მისი მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და ზეგავლენას - გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ვასილ აბულაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-4 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც მისივე განმარტებით, ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ტექნიკური ხასიათის ცვლილების განხორციელებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს სახელწოდების, აღნიშნული სახით, მითითების მიზნით.

მომხსენებლის მითითებით, წარმოდგენილი პროექტი ასევე ითვალისწინებს, დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლში მე-12 და მე-13 პუნქტების დამატებას, რომლებითაც განისაზღვრება, რომ: „ამ დადგენილების მე-3 მუხლის პირველი და 2^1 პუნქტების შესაბამისად გადახდილი სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასური არ ექვემდებარება დაბრუნებას, ხოლო, „ზონის მიხედვით სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასურის გადახდის მიზნით ჩარიცხული თანხა, უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, ექვემდებარება დაბრუნებას.".

მომხსენებლის მითითებით, მოქალაქეები, წარდგენილი განცხადებებით, უთითებენ, რომ რიგ შემთხვევებში, სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასურს შეცდომით იხდიან, შესაბამისად, ითხოვენ, აღნიშნული თანხის უკან დაბრუნებას, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერზე

გადახდილი პარკირების საფასური აქტიურდება გადახდის მომენტიდან და გადახდილად ითვლება გადახდილი პარკირების საფასურის ვადის ამოწურვამდე, რაც სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მხრიდან შესაბამისი მომსახურების გაწევის წინაპირობაა და პარკირების საფასური ფიქსირებულად დადგენილია და მიბმულია კალენდარულ დღეებზე, იმ შემთხვევაში, როდესაც მომართვამდე მას უკვე გამოყენებული აქვს გადახდის მომენტიდან გარკვეული კალენდარული დღეები, შეუძლებელია განხორციელდეს ამ კალენდარული დღეების გამოკლება დადგენილი ფიქსირებული პარკირების საფასურიდან, ამავე დროს შეუძლებელია დადგინდეს გადახდის მომენტიდან იყენებდა თუ არა იგი პარკირების ადგილ(ებ)ს გასულ კალენდარულ დღეებში, რის გამოც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლს დაემატოს მე 12 პუნქტი, შემდეგი სახით

„ამ დადგენილების მე-3 მუხლის პირველი და 2[1] პუნქტების შესაბამისად გადახდილი სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასური არ ექვემდებარება დაბრუნებას,

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით დამტკიცებული წესის მოქმედი რედაქციით სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე უფლებამოსილია პარკირების საფასურის გადატანის შესახებ მიმართოს პარკირების ოპერატორს, რა დროსაც პარკირების ოპერატორი ვალდებულია შესაბამისი ცვლილება ასახოს მიმართვისთანავე, ამასთან, მისივე მითითებით, ამასთან, ხშირია შემთხვევები, როცა მოქალაქეები ზონის მიხედვით სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასურის გადახდის მიზნით პარკირების აპლიკაციაში ე.წ. პარკირების საფულის კოდზე (რომელიც ინდივიდუალურად მოქალაქეთა პირად მონაცემებზე რეგისტრირდება) შეცდომით რიცხავენ თანხებს და ითხოვენ შეცდომით ჩარიცხული თანხების უკან დაბრუნებას. მათი პირადი ბალანსიდან შეცდომით ჩარიცხული თანხის დაბრუნების ცალსახა საფუძველს არ იძლევა დღეის მდგომარეობით მოქმედი წესის რედაქცია, ამდენად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლს დაემატოს მე-13 პუნქტი, რომლის შესაბამისად:

„ზონის მიხედვით სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასურის გადახდის მიზნით ჩარიცხული თანხა, უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, ექვემდებარება დაბრუნებას.“

ვასილ აბულაძემ დასძინა, რომ პროექტის ამოქმედებისთვის არ არის საჭირო დამატებითი საბიუჯეტო სახსრები, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის შენიშვნის თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმოდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
5. ვასილ აბულაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-5 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც მისივე განმარტებით, ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წეს“-ში (შემდგომში - წესი), შემდეგი ცვლილებების განხორციელებას:

ა) დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების ახალი რედაქციით ჩამოყალიბებით სწორდება შინაარსობრივი და ტექნიკური უზუსტობები, მათ შორის, ხდება - „საგზაო მოძრაობის დროებითი და მუდმივი სქემების მომზადების შესაძლებლობის“ ამოღება და რჩება მხოლოდ „საგზაო მოძრაობის ორგანიზების მუდმივი ან/და დროებითი სქემების შეთანხმების“ საკითხი. მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ აღნიშნულ პუნქტებში, მოქმედი დადგენილებით დამტკიცებული წესით განსაზღვრული მომსახურების საფასურები რჩება იდენტური, თუმცა, ცვლილება ეხება დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნტის „გ“ ქვეპუნქტს, სადაც, ნაცვლად, სიტყვებისა: „ერთი თვით“, მიეთითება - „ერთ კვირაზე (7 კალენდარულ დღეზე) მეტი ვადით“, რითაც უფრო მეტად ზუსტება საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის შეთანხმების ვადა.

ვასილ აბულაძის განმარტებით, დამტკიცებული წესის მე-5 მუხლში 4^1-4^4 პუნქტები ემატება, რითაც განისაზღვრება, „განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების განხილვის“, „განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის განხილვის“, „განაშენიანების რეგულირების გეგმის განხილვის“ და „განაშენიანების რეგულირების გეგემის კორექტირებული პროექტის განხილვისათვის დაჩქარებული მომსახურებებების საფასურების განაკვეთები, შესაბამისი მოცულის მიწის ნაკვეთებზე, შემდეგი სახით:

„4^1. განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების განხილვა:
ა) ერთი ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე:
ა.ა)10 დღეში - 5000 ლარი; ა.ბ) 30 დღეში - 3000 ლარი; ა.გ) 3 თვეში - უფასო.

ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით: ბ.ა) 10 დღეში - 10000 ლარი; ბ.ბ) 30 დღეში - 6000 ლარი; ბ.გ) 3 თვეში - უფასო.

გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე: გ.ა) 10 დღეში - 20000 ლარი; გ.ბ) 30 დღეში - 12000 ლარი; გ.გ) 3 თვეში - უფასო.

4^2. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის განხილვა:

ა) ერთი ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე:
ა.ა)10 დღეში - 5000 ლარი; ა.ბ) 30 დღეში - 3000 ლარი; ა.გ) 3 თვეში - უფასო.

ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით:
ბ.ა) 10 დღეში - 10000 ლარი; ბ.ბ) 30 დღეში - 6000 ლარი; ბ.გ) 3 თვეში - უფასო.

გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე:
გ.ა) 10 დღეში - 20 000 ლარი; გ.ბ) 30 დღეში - 12000 ლარი; გ.გ) 3 თვეში - უფასო.

4^3. განაშენიანების რეგულირების გეგმის განხილვა:
ა) ერთი ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე:
ა.ა) 10 დღეში - 7500 ლარი; ა.ბ) 30 დღეში - 5000 ლარი; ა.გ) 3 თვეში - უფასო.

ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით:
ბ.ა) 10 დღეში - 15000 ლარი; ბ.ბ) 30 დღეში - 10000 ლარი; ბ.გ) 3 თვეში - უფასო.

გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე:
გ.ა) 10 დღეში - 30000 ლარი; გ.ბ) 30 დღეში - 20000 ლარი; გ.გ) 3 თვეში - უფასო;

4^4. განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის განხილვა:

ა) ერთი ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე:
ა.ა) 10 დღეში - 7500 ლარი; ა.ბ) 30 დღეში - 5000 ლარი; ა.გ) 3 თვეში - უფასო.

ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით: ბ
.ა) 10 დღეში - 15000 ლარი; ბ.ბ) 30 დღეში - 10000 ლარი; ბ.გ) 3 თვეში - უფასო.

გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე:
გ.ა) 10 დღეში - 30000 ლარი; გ.ბ) 30 დღეში - 20000 ლარი; გ.გ) 3 თვეში - უფასო;"

ვასილ აბულაძემ აღნიშნა, რომ პროექტის ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია 2023 წლის პირველი დეკემბერი, ხოლო, მისი მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და ზეგავლენას - გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

მომხსენებელმა ასევე გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ დადგენილების პროექტი არის იმ სამართლებრივ ცვლილებათა პაკეტის ნაწილი, რაც დედაქალაქის საკრებულოში წარმოდგენილია, დღის წესრიგის მე-3 საკითხის სახით, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრების მიერ, უკვე შესწავლილ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტთან ერთად.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ, ხოლო, ვასილ აბულაძემ კი ითხოვა -დადგენილების პროექტის ამოქმედების თარიღად მითითებულ იქნას 2024 წლის პირველი იანვარი, რაც გაზიარებულ იქნა კომისიის მიერ.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების/წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ინიციირების წესით, წარმოდგენილი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-6 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, აღნიშნული დადგენილების ამოქმედების თარიღის ნაწილში.

მომხსენებლის მითითებით, პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. ასევე, პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის სხდომაზე სსიპ - ტრასპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ წარმოადგინა ინიციატივა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 1 იანვარი, რაც გაზიარებულ იქნა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრების მიერ.

გადაწყვიტეს:
დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ოთარ ჩიტიძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-7 საკითხად განსაზღვრული 2 (ორი) დადგენილების პროექტი, რომლებიც ითვალისწინებს, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში სათანადო ცვლილებების განხორციელებას.

ოთარ ჩიტიძემ მოხსენების დასაწყისში ისაუბრა თავდაპირველად წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე, რაც მოწონებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის" 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში, „ე" ქვეპუნქტის დამატებას, რითაც, ადგილი აქვს:

✓ დადგენილების პირველი მუხლის „ბ" პუნქტით დადგენილი, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექნიკური ნაწილი"-თ (დანართი N2) განსაზღვრულ - „ვარკეთილის მასივში" - დანართი 1.11-ით განსაზღვრულ „B1" არეალზე სამშენებლო განვითარების დასაშვებობისათვის განსაზღვრულ პირობებში ახალი პირობის დამატებას, შემდეგი სახით:

„ე) არეალში განსახორციელებელი პროექტის ფარგლებში, საპროექტო არეალში ან მის გარეთ მესაკუთრეთა (მფლობელთა) დაკმაყოფილებისას, პროექტის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, გადასაცემი ფართები მოიყვანოს არანაკლებ ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში. ამასთან, მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია, პროექტის განმახორციელებელი პირის სასარგებლოდ უარი თქვას სამშენებლო მოცულობის პროცენტულობიდან (18%) მისთვის გადასაცემი ფართების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან მისი ნაწილის საკუთრებაში მიღებაზე ან/და განახორციელოს პროექტის განმახორციელებელ პირზე მათი პრივატიზაცია, პირდაპირი განკარგვის წესით, პროექტის განმახორციელებელი პირის მიერ, საკუთარი ხარჯით, პროექტში შესაბამის მესაკუთრეთა (მფლობელთა) ფართების რემონტის უზრუნველყოფის მიზნით. ამ პუნქტის მიზნებისთვის, გადასაცემი ფართის ღირებულება განისაზღვროს არანაკლებ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტირებული სხვა ექსპერტის/აუდიტორის/საექსპერტო/აუდიტორული კომპანიის მიერ დადგენილი საბაზრო ფასით, ხოლო რემონტის ღირებულება და სტანდარტი განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გენერალური გეგმის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ ვარკეთილის მასივის სამშენებლო განვითარებისას განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვრება კ-2=5.0-ით, ამასთან, კ-2 საანგარიშო ფართობის 18% (სამშენებლო მოცულობის პროცენტულობა) გამოყენებული უნდა იქნეს საპროექტო მიწის ნაკვეთზე/საპროექტო არეალზე ან მის გარეთ მესაკუთრეთა (მფლობელთა) დაკმაყოფილების ან/და მათ საკუთრებაში არსებული ფართების/მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის მიზნით, ხოლო, სამშენებლო მოცულობის პროცენტულობიდან (18%) დარჩენილი ფართები, რომლებიც არ იქნა გამოყენებული საპროექტო მიწის ნაკვეთზე/საპროექტო არეალზე ან მის გარეთ მესაკუთრეთა (მფლობელთა) დაკმაყოფილების ან/და მათ საკუთრებაში არსებული ფართების/მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გადაეცემა საკუთრებაში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მითითებული ნორმა განსაზღვრავს განსახორციელებელი პროექტის ფარგლებში, საპროექტო არეალში ან მის გარეთ მესაკუთრეთა (მფლობელთა) დაკმაყოფილებისას, პროექტის განმახორციელებელი პირის მიერ გადასაცემი ფართების ოდენობის დაანგარიშების წესს, თუმცა ბუნდოვნად ტოვებს რიგ საკითხებს, მათ შორის, არ მოიცავს რეგულაციას გადასაცემი ფართების კონდიციასთან დაკავშირებით.

ოთარი ჩიტიძემ განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ შემდგომში, ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, წარმოდგენილი პროექტით, ზუსტდება მითითებული ნორმის შინაარსი და გენერალური გეგმის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს ემატება „ე“ ქვეპუნქტი, რომელიც განსახორციელებელი პროექტის ფარგლებში საპროექტო არეალში ან მის გარეთ მესაკუთრეთა (მფლობელთა) დაკმაყოფილებისას, პროექტის განმახორციელებელი პირს განუსაზღვრავს ვალდებულებას გადასაცემი ფართები მოიყვანოს არანაკლებ ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში, ამასთან, გარდა აღნიშნულისა, წარმოდგენილი ცვლილების საფუძველზე, მუნიციპალიტეტს ენიჭება უფლებამოსილება, პროექტის განმახორციელებელი პირის სასარგებლოდ, უარი თქვას სამშენებლო მოცულობის პროცენტულობიდან (18%) მისთვის გადასაცემი ფართების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან მისი ნაწილის საკუთრებაში მიღებაზე ან/და განახორციელოს პროექტის განმახორციელებელ პირზე მათი პრივატიზაცია, პირდაპირი განკარგვის წესით, პროექტის განმახორციელებელი პირის მიერ, საკუთარი ხარჯით, პროექტში შესაბამის მესაკუთრეთა (მფლობელთა) ფართების რემონტის უზრუნველყოფის მიზნით, ამასთან, გადასაცემი ფართის ღირებულება განისაზღვრება არანაკლებ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტირებული სხვა ექსპერტის/აუდიტორის/საექსპერტო/აუდიტორული კომპანიის მიერ დადგენილი საბაზრო ფასით, ხოლო რემონტის ღირებულება და სტანდარტი განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების “ შესაბამისად.

მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილების რედაქცია განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ავარიულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ პირთათვის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, ხოლო, ამ მიზნით, შესაბამისი

ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, შემოთავაზებული რეგულაციის მიხედვით გადასაცემი ფართების რემონტის შესაძლებლობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აღნიშნული მექანიზმი ხელს შეუწყობს ავარიულ სახლებში მცხოვრები პირების საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებას, რაც მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული სოციალური პოლიტიკის მიმართულების ერთ-ერთი საკითხია.

პირველი დადგენილების პროექტის წარმოდგენის შემდგომ, ოთარ ჩიტიძემ ისაუბრა, მეორე დადგენილების პროექტის თაობაზე, რაც ითვალისწინებს, შემდეგ ღონისძიებებს:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის:

✓ ,ა" პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა" (დანართი №1) ჩამოყალიბებას პროექტზე თანდართული რედაქციით;

✓ ,,ა" პუნქტის „ა.ლ" ქვეპუნქტით დამტკიცებული თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა (დანართი №1.11) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

✓ ,ბ" პუნქტით დამტკიცებული ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის" ტექსტური ნაწილის (დანართი N2) 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

,,გ) ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია:

დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) განსაზღვრულ არეალზე სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია:

ა) თემატურ რუკაზე მონიშნულ „A" არეალზე განვითარება დასაშვებია მხოლოდ განაშენიანების რეგულირების გეგმების შესაბამისად, გზათა ქსელის გათვალისწინებით; ასევე, დასაშვებია დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსება, მუნიციპალიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში დემონტაჟის განხორციელების პირობით.

ბ) გარდა „A" (განაშენიანების რეგულირების გეგმების) არეალისა, სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული ფუნქციური ზონირების ან/და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შესაბამისად.''

მოხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ აღნიშნა, რომ დადგენილებების პროექტები დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება, დადგენილებების პროექტების, ერთი დადგენილების პროექტის სახით გაერთიანებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ უახლოეს სხდომაზე, ამგვარი სახით განხილვაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია, გაერთიანებული დადგენილების პროექტი ტექნიკური-სამართლებრივი თვალსაზრისით გამართულ იქნას „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ამასთან, ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, თავდაპირველად წარმოდგენილი დადგენილების პროექტით (საკ.რეგ. N12-032332026 03) მუნიციპალიტეტის მთავრობის უფლებამოსილებად შემდეგი საკითხის განსაზღვრა:

„პროექტის განმახორციელებელი პირის სასარგებლოდ უარი თქვას სამშენებლო მოცულობის პროცენტულობიდან (18%) მისთვის გადასაცემი ფართების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან მისი ნაწილის საკუთრებაში მიღებაზე ან/და განახორციელოს პროექტის განმახორციელებელ პირზე მათი პრივატიზაცია, პირდაპირი განკარგვის წესით, პროექტის განმახორციელებელი პირის მიერ, საკუთარი ხარჯით, პროექტში შესაბამის მესაკუთრეთა (მფლობელთა) ფართების რემონტის უზრუნველყოფის მიზნით", სათანადო ცვლილების სახით, შემდგომში, აისახოს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებულ წესში.

საკითხის მომხსენებელმა გაიზიარა კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული რეკომენდაციები.

გადაწყვიტეს:
დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. თამარ ბიწაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-8 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა დეკანოზ მიქაელ ბოტკოველის წერილობითი თხოვნით საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული - 7496.3 ლარის ღირებულების მოძრავი ქონების (ჯართის - სტანდარტული და არასტანდარტული ზომის კუთხოვანაში ჩასმული ლითონის ბადე) სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, სათანადო ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად, პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა დეკანოზ მიქაელ ბოტკოველმა წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, კრწანისის რაიონში მდებარე წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის მამათა მონასტრის შემოსაღობი მასალების - სტანდარტული და არასტანდარტული ზომის კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადის სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თხოვნით, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, ნაძალადევის რაიონის გამგეობამ წერილობითი სახით დაადასტურა, გამგეობის საწყობში გარკვეული რაოდენობის ჯართის სტანდარტული და არასტანდარტული ზომის კუთხოვანაში ჩასმული ლითონის ბადეების არსებობის თაობაზე, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციამ გასცა წერილობითი თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში საკუთრებაში არსებული 10 709 კგ. მოძრავი ქონების - ჯართის 340 ცალი სტანდარტული ზომის კუთხოვანაში ჩასმული ლითონის ბადის, წონით 10 265 კგ და 19 ცალი არასტანდარტული ზომის კუთხოვანაში ჩასმული ლითონის ბადის, წონით 444კგ, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის შესახებ, ხოლო, შპს „აუდიტ სერვისი"-ს (ს/კ 416302799) 2023 წლის 20 აპრილის აუდიტორული დასკვნით, ჩატარებული შეფასებითი პროცედურების შედეგად, მსგავსი მახასიათებლების მქონე 1 კგ შავი ლითონის ჯართის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 20 აპრილის მდგომარეობით განისაზღვრა 0.70 ლარით.

თამარ ბიწაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ყოველივე ზემომითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობის გათვალისწინებით:

- ✓ მყიდველმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დანართი 1-ით გათვალისწინებული მოძრავი ქონების შესაბამისი ტერიტორიიდან გატანა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის შენიშვნის თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. თამარ ბიწაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-9 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173, კორპუს N5-სა და კორპუს N6-ში მდებარე ფართების, თვითნებურად, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები შემდეგი მოქალაქეებისათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას:

- ✓ დომენტი გოგალაძე - 37,42 კვ.მ.; თეონა მშვენიერაძე - 49.88 კვ.მ.; ეკატერინე კვიჟინაძე - 72.49 კვ.მ; გიორგი ოდიშვილი - 74.38 კვ.მ და მევლუდი ჭაღოშვილი - 60.47 კვ.მ. (საერთო ჯამში გადაეცემათ 294.64 კვ.მ უძრავი ქონება).

მომხსენებლის განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს პოლიციის III სამმართველოს მიერ გაცემული ინფორმაციით, ზემოაღნიშნული დაინტერესებული პირები მისამართზე ცხოვრობენ 20-25 წლის მანძილზე, ასევე, სანოტარო წესით დამოწმებული, მეზობლების თანხმობით და გამგეობის შემოწმების აქტით დასტურდება აღნიშნული მოქალაქეების მიერ, 1992-2002 წლებიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა, აქვე დასძინა, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის, ხოლო, გამგეობის შუამდგომლობისა და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის შენიშვნის თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია" დააფიქსირა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. თამარ ბიწაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე - 10 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს,

დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N2-ის მიმდებარედ, 177 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, სათანადო სიტუაციური ნახაზის შესაბამისად, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სმარტ გრუპ +"-ისთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია, დაინტერესებაში არსებული 27 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, შემდგომში ღია კაფეს განთავსების მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება ტროტუარის დარჩენილი სავალი ნაწილის მინიმალური მანძილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ღია კაფეს მოსაწყობად, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით განკარგვის წინააღმდეგი არ არის, ხოლო, სსიპ - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 9 ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნით, ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, №2-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონებიდან დამკვეთის მიერ წარმოდგენილ ორთოფოტოზე მონიშნული 27 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა 2023 წლის 8 ნოემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 8100 ლარით;

მომხსენებლის მითითებით, შპს „სმარტ გრუპ +"-ი, სარგებლობის უფლების საფუძველზე, ფლობს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე უძრავ ქონებას, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 2028 წლის 16 მარტამდე, შპს „სმარტ გრუპ +"-ისთვის, საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 8100 (რვა ათას ასი) ლარის ოდენობით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური და სტილისტური ხასიათის შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია" დააფიქსირა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. თამარ ბიწაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე - 11 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დაინტერესებული პირების განცხადების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, თაყაიშვილის ქ.N4-ის მიმდებარედ არსებული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით აკაკი კუჭაშვილისა და იზოლდა ქუთელიასთვის, მიწის ნაკვეთზე არსებული კიბის უჯრედის შემდგომი გამოყენების მიზნით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, გადაცემის საკითხის დედაქალაქის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, განმარტა, რომ აღნიშნული პირები საკუთრების უფლებით ფლობენ, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების მიმდებარე შენობაში არსებულ ფართებს.

თამარ ბიწაძის მითითებით, სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო წინააღმდეგი არ არის ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემაზე, ამასთან სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნითა და სათანადო წერილის თანახმად, დაინტერესებაში არსებული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2023 წლის 19 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1296 (ათას ორას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, მოთხოვნილი 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის აკაკი კუჭაშვილისა და იზოლდა ქუთელიასთვის იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 5 (ხუთი) წლით, მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასურის 1296 (ათას ორას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით, გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური შენიშვნის თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. თამარ ბიწაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე - 12 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, შპს „ელესთვის", რომელიც იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N49/მაზნიაშვილის ქუჩა N2-ში მდებარე უძრავი ქონებას, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით აღნიშნული კომპანიისთვის, სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის მითითებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება, ამასთან, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვის საკითხის წინააღმდეგი ასევე არ არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 5 მეტრი სიგანის მქონე საჯარო/საქვეითო სივრცის შენარჩუნებისა და ობიექტის ინვენტარის 5 მეტრი სიგანის მონაკვეთის მიღმა განთავსების პირობებით, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 13 ოქტომბრის ექსპერტიზის დასკვნით დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2023 წლის 18 ოტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 7 200 (შვიდი ათას ორასი) ლარის ოდენობით, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, შესაძლებლად მიიჩნევს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელესთვის", იჯარის ფორმით, 2025 წლის 30 ნოემბრამდე ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 7200 (შვიდი ათას ორასი) ლარის ოდენობით, ღია კაფეს მოწრობის მიზნით, სარგებლობის უფლების გადაცემის საკითხს.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური შენიშვნის თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია" დააფიქსირა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული

<u>შენიშვნის</u> გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მის მიერ ინიციირების წესით წარმოდგენილი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე - 13 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის №72 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას, რომლის მომზადება განპირობებულ იქნა შემდეგი გარემოების გამო:

✓ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მ/წლის 16 ნოემბრის №15-032332048-03 წერილით ცნობილი გახდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 ნოემბრის და 2023 წლის 17 თებერვლის სათანადო განკარგულებები, რამაც გამოიწვია, აღნიშნული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებების საფუძველზე, მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ნოემბრის №535 და 2023 წლის 21 თებერვლის №72 განკარგულებებისა ძალადაკარგულად გამოცხადების აუცილებლობა.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია" დააფიქსირა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მის მიერ, ინიციირების წესით წარმოდგენილი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე - 14 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის N343 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომლის მომზადება განპირობებულ იქნა შემდეგი გარემოების გამო:

✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მ/წლის 16 ნოემბრის შესაბამის წერილზე დაყრდნობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 8 ივლისის N22.1073.1158 განკარგულება, რამაც დღის წესრიგში დააყენა, მის საფუძველზე მიღებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის N343 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების აუცილებლობა.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია" დააფიქსირა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მის მიერ, ინიციირების წესით წარმოდგენილი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე - 15 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს №394 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომლის მომზადება, განპირობებულ იქნა შემდეგი გარემოების გამო:

✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მ/წლის 16 ნოემბრის სათანადო წერილზე დაყრდნობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 5 აგვისტოს №22.1231.1331 განკარგულება, რამაც დღის წესრიგში დააყენა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის აღნიშნული განკარგულების საფუძველზე მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს №394 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია" დააფიქსირა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს, გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე - 16 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული, „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დადგენილი, დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებების შესაბამისად, ითვალისწინებს, ქ. თბილისში, შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების ფარგლებში განხორციელდა და ხორციელდება არაერთი ღონისძიება, მათ შორის, 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმდა „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს" , შპს „მარიჯანს", შპს „გეითვეი ჰოლდინგს", შპს „დაკიდებული ბაღებს", შპს „დიღომი დისთრიქთ აფარტმენთს", ამხანაგობა „ახალი დიღომს", ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88"-ს და შპს „სიემს"-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (შემდგომში - მემორანდუმი), რაშიც შემდგომში განხორციელებულ იქნა გარკვეული ცვლილებები. მომხსენებელმა აქვე განმარტა, რომ შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფარგლებში, იღებს გადაწყვეტილებებს სხვადასხვა დაინტერესებული პირების მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, ხოლო, დაინტერესებული პირები, დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შესაბამისი თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფენ მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების დაცვით, ამავე მემორანდუმის საფუძველზე შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე.

ლევან ჟორჟოლიანმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების მიხედვით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერის მიზნით გამოყოფილი თანხები გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელ მშენებლობებთან მიმართებაში, ასევე აღნიშნა, რომ დედაქალაქის მასშტაბით ასევე არსებობს სხვა დაუმთავრებელი მშენებლობებიც, რომლებიც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის -

„დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლის შესაბამისად, მიიჩნევიან დაუმთავრებელ მშენებლობებად და რომელთა მიმართაც, მაღალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მხრიდან დადგენილი წესების შესაბამისად, ასევე განხორციელდა რიგი ხელშემწყობი ღონისძიებები.

მომხსენებლის მითითებით, დედაქალაქის მასშტაბით, სამწუხაროდ არსებობს უამრავი ადამიანი, რომლებიც დაზარალებულები არიან შპს „ათორის“და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობების დაუსრულებლობით, ამასთან, მუნიციპალიტეტისადმი არსებული მომართვიანობიდან, იკვეთება, რომ შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაუმთავრებელია რამდენიმე შენობა-ნაგებობა სხვადასხვა მისამართზე, ამასთან შესაბამის ფართებს ელოდება რამდენიმე ასეული ადამიანი.

ლევან ჟორჟოლიანის მითითებით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მაღალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, განისაზღვროს, რომ შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, მემორანდუმის საფუძველზე შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე რიცხული თანხები გამოყენებულ იქნას ასევე შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით, გარდა იმ თანხებისა (მათ შორის, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სითი ლოფტისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ოქტომბრის N2053 განკარგულებით გათვალისწინებული იმ თანხისა, რომელიც გათვალისწინებულია იმ პირთა დაკმაყოფილების მიზნით, ვისაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უდასტურდებათ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ მიმართ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი), რაც აუცილებელია „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუსრულებელი მშენებლობების დასრულებისათვის.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
17. ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს, გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე - 17 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59

დადგენილებით დამტკიცებული, „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დადგენილი, დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებების შესაბამისად, ითვალისწინებს, მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ N4 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის შპს „გელოვანის" მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის მიზეზებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისია" (შემოდგომში დაუმთავრებელი მშენებლობების კომისია) 2023 წლის 16 ნოემბერს განცხადებით მიმართეს შპს „გელოვანმა" და შპს „დაკიდებულმა ბაღებმა" და ითხოვეს მისამართზე - ქალაქ თბილისი, იასამნის ქ. N4, არსებული დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, საკითხის, კომისიის მიერ, 2023 წლის 17 ნოემბრის სხდომაზე განიხილვისა დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ, გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

✓ დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიამ (ოქმი N10, 7.12.2020) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - იასამნის ქ N4 (ს/კ 01.10.11.001.116) არსებული დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის შპს „გელოვანის" მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის ფარგლებში მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც დამტკიცებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, ხოლო, შეთანხმებული - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

✓ გარდა აღნიშნულისა, დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - იასამნის ქ N4 (ს/კ 01.10.11.001.116) არსებული დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის შპს „გელოვანის" მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის ფარგლებში დაზუსტებით მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით. აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებები დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ (განკარგულება N594, 04.11.2022).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაინტერესებული პირის - შპს „გელოვანი"-სა და შპს „დაკიდებული ბაღები"-ს განმარტებით, მისამართზე: ქ. თბილისი, იასამნის ქ N4-ში, სადაც განთავსებულია 3 (სამი) სართულიანი შენობა-ნაგებობა, რომელშიც დღეის მდგომარეობით საცხოვრებელ ფართებს ფლობენ, მათ შორის, საქართველოს პროკურატურის მიერ საქმის გამოძიების ფარგლებში შედგენილ სიაში არსებული დაზარალებულები:

ა) დაზარალებულების ნაწილს მფლობელობაში არსებულ საცხოვრებელ ფართებში ჩატარებული აქვთ სარემონტო სამუშაოები;

ბ) შპს „გელოვანი" კისრულობს ვალდებულებას აღნიშნულ შენობა-ნაგებობაში მცხოვრებ დაზარალებულებს, მათთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, განხორციელებულ პროექტში მისაღებ ფართებთან ერთად დამატებით, უსასყიდლოდ გადასცეს საზაფხულო ფართები (აივნები);

გ) დაზარალებულების მიერ მისაღები ბინების ფართების რაოდენობა განსხვავდება საქართველოს პროკურატურის მიერ საქმის გამოძიების ფარგლებში შედგენილ სიაში დაფიქსირებული რაოდენობისაგან 1 (ერთი) ბინა-ერთეულის ფარგლებში;

დ) რამდენიმე დაზარალებულის მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართის კვადრატულობა განსხვავდება საქართველოს პროკურატურის მიერ საქმის გამოძიების ფარგლებში შედგენილ სიაში დაფიქსირებული კვადრატულობისგან, რაც დასტურდება ამ ფართების აზომვითი ნახაზებით.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „გელოვანი" და შპს „დაკიდებული ბაღები" ითხოვენ:

- ✓ გაჩნდეს შესაძლებლობა, დაზარალებულებთან შეთანხმებით და მათთან ინდივიდუალურად გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, რეგისტრაცია განხორციელდეს საქართველოს პროკურატურის მიერ გადმოცემული სიით განსაზღვრულ ფართებზე მეტი ან ნაკლები კვ.მ-ის ოდენობით და ფართების რეგისტრაცია ინდივიდუალურად შეთანხმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან;
- ✓ სარეალიზაციო ფართების შეზღუდვა არ გავრცელდეს ავტოსადგომებისათვის გასაზღვრულ სართულებზე. გასხვისების და იპოთეკით დატვირთვის შეზღუდვა გავრცელდეს მხოლოდ პირველიდან მეშვიდე საცხოვრებელი სართულების ჩათვლით, გარდა იმ ფართებისა, რომლებიც განკუთვნილია დაზარალებულების ან მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ასევე შპს „დაკიდებული ბაღებს" და შპს „გელოვანს" შორის გაფორმებული მემორანდუმით და ხელშეკრულებით გადასაცემი სხვა ფართებისა. გასხვისების უფლება, ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთვის უფლების შეზღუდვის გამოკლებით, შეიზღუდოს მე-8-დან 22-ე საცხოვრებელ სართულებზე შენობის მე-7 საცხოვრებელი სართულის კარკასულ(მონოლითურ) მდგომარეობამდე მიყვანამდე. ხოლო, მე-7 საცხოვრებელი სართულის კარკასულ(მონოლითურ) მდგომარეობამდე მიყვანის შემდეგ, მოიხსნას გასხვისების უფლების შეზღუდვა მე-8-დან 22-ე საცხოვრებელი სართულების ჩათვლით.

ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის წევრებს გააცნო, დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიის თავმჯდომარისა და წევრების შემდეგი მოსაზრება/რეკომენდაცია:

- ✓ იმის გათვალისწინებით, რომ:

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ. N4, არსებული ობიექტი არის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობა. ე.წ. ცენტრპოინტის საქმეში დაზარალებულია უამრავი კეთილსინდისიერი პირი, და რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა არის ძალიან მაღალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესი, არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე;

ბ) მოთხოვნილი დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიება არ იწვევს საპროექტო წინადადების ფინანსურ-ეკონომიკური მოდელის ცვლილებას;

გ) ამ ეტაპზე შპს „გელოვანის" მიერ არ/ვერ იქნა წარმოდგენილი ე.წ. განშლის ოქმი (მათი განცხადებით, მიმდინარე მოლაპარაკებების გამო);

დ) მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ. N4 განთავსებული 3 (სამი) სართულიან შენობა-ნაგებობაში მცხოვრები საქართველოს პროკურატურის მიერ საქმის გამოძიების ფარგლებში შედგენილ სიაში არსებული დაზარალებულების:

დ.ა) ნაწილს მფლობელობაში არსებულ საცხოვრებელ ფართებში ჩატარებული აქვთ სარემონტო სამუშაოები;

დ.ბ) ნაწილის მიერ მისაღები ბინების ფართების მოცულობა განსხვავდება საქართველოს პროკურატურის მიერ საქმის გამოძიების ფარგლებში შედგენილ სიაში დაფიქსირებული მოცულობისაგან 1 (ერთი) ბინაერთეულის ფარგლებში;

დ.გ) ნაწილის მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართის მოცულობა განსხვავდება საქართველოს პროკურატურის მიერ საქმის გამოძიების ფარგლებში შედგენილ სიაში დაფიქსირებული მოცულობისაგან, რაც დასტურდება ამ ფართების აზომვითი ნახაზებით;

დ.დ) ნაწილს (ან სრულად ყველა დაზარალებულს) შპს „გელოვანი", მათთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, განახორციელებს პროექტში მისაღებ ფართებთან ერთად დამატებით, საზაფხულო ფართების (აივნების) უსასყიდლოდ გადაცემას.

✓ **დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიას მიზანშეწონილად მიიჩნია მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ N 4 (ს/კ 01.10.11.001.116) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, დაზუსტდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული ხელშემწყობი ღონისძიებები.**

მომხსენებლის მითითებით, დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციისა და შედგენილი ოქმის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარმოუდგინა:

1. **შპს ,,გელოვანის" მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, შპს ,,გელოვანის" და შპს „დაკიდებული ბაღების" მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის საფუძველზე, მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ.N4 - განისაზღვროს შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებები:**

ა) **შპს „გელოვანს" ეზღუდება უფლება, განკარგოს ან/და უფლებრივად დატვირთოს ქ. თბილისში, იასამნის ქ. N4-ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში** არსებული ფართ(ებ)ი ამ განკარგულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. ე.წ. პირველადი განშლის ოქმის სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის ეტაპზე, დასაშვებია ინდივიდუალური ფართებზე საკუთრების უფლების მიმღებ პირად განისაზღვროს შპს ,,გელოვანი";

ბ) **შპს ,,გელოვანს" მიეცეს უფლება, მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ. N4 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიის 2020 წლის 7 დეკემბრის N10 ოქმით დადასტურებული ვალდებულების გასტუმრების მიზნით გადასაცემ ფართებზე** (რომელიც შეიძლება იყოს მეტობით ან ნაკლებობით ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე გონივრულობის ფარგლებში და რომელიც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ით), ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ნებისმიერ დროს დაარეგისტრიროს დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიის 2020 წლის 7 დეკემბრის N10

ოქმით გათვალისწინებული შესაბამისი პირების (ვის მიმართაც დადასტურდა ვალდებულების გასტუმრების მიზნით გადასაცემი ფართები) (შემდგომში - „შესაბამისი პირები“) საკუთრების უფლება/სამომავლო საკუთრების უფლება (კერძოდ: ამ მიზნით გამოყენებულ იქნას შენობა-ნაგებობაში პირველი - მე-7 საცხოვრებელი სართული). აღნიშნულ სართულებზე არსებულ ინდივიდუალურ ფართებზე შესაძლებელია დარეგისტრირდეს შესაბამისი პირ(ებ)ის საკუთრების უფლება და გაუქმდეს გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის ნებისმიერი შეზღუდვა მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წერილობითი დასტურის საფუძველზე, ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი თანხმობით;

გ) იმ შემთხვევაში თუ შპს ,,გელოვანი“ ზემოაღნიშნულ სამშენებლო პროექტის (მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ. N4) სრულად დაფინანსებას უზრუნველყოფს საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ, შპს ,,გელოვანს“ (ან მის უფლებამონაცვლე პირს, ან მის/მათ მიერ უფლებამოსილ პირს) მიეცეს უფლება, ამავე პროექტის განხორციელების მიზნით, კომერციული ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთოს მხოლოდ მის საკუთრებაში (ან მის უფლებამონაცვლე პირის, ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირის საკუთრებაში) რეგისტრირებული სარეალიზაციო ფართები, გარდა ამ მისამართზე არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში ვალდებულების გასტუმრების მიზნით გადასაცემი ფართებისა, ჯამურად არაუმეტეს 7 (შვიდი) საცხოვრებელი სართულისა (კერძოდ: შენობა-ნაგებობაში პირველი-მე-7 საცხოვრებელი სართულისა), ამავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით იპოთეკის უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტის„ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი თანხმობით, შესაბამისი კომერციული ბანკის მიერ გაცემული წერილის, რითაც დასტურდება ბანკის მზაობა, სრულად დააფინანსოს შესაბამისი პროექტის ხარჯები, წარმოდგენის საფუძველზე;

დ) პირველი-მე-7 საცხოვრებელი სართულის გარდა შენობა-ნაგებობაში არსებულ სხვა ფართებზე შეზღუდვა გაუქმდეს მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი თანხმობით, ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებით დადგენილი წესით, შენობა-ნაგებობის არანაკლებ პირველი-მე-7 საცხოვრებელი სართულის ჩათვლით ე.წ. კარკასულ მდგომარეობაში მოყვანის შემდეგ. ამ განკარგულების მიზნებისთვის, „კარკასულ მდგომარეობა“ გულისხმობს შენობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დასრულებულ მდგომარეობას, ხოლო, შენობა-ნაგებობის კარკასულ მდგომარეობაში მოყვანა უნდა დადასტურდეს შპს ,,გელოვანის“ მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრული შესაბამისი საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე;

ე) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება შენობა-ნაგებობის პირველ საცხოვრებელ სართულამდე არსებულ ავტოსადგომებზე;

ვ) იმ შემთხვევაში, თუ მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ. N4 მშენებარე შენობა-ნაგებობაში, შენობა-ნაგებობის პირველი-მე-7 საცხოვრებელ სართულზე ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად დაზარალებულ პირების საკუთრებად განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

რეგისტრირებულ იქნა ფართების ნაწილი (ანუ, მოხდა დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში არსებული ვალდებულებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება), შპს ,,გელოვანს" (ან მის უფლებამონაცვლე პირს, ან მის/მათ მიერ უფლებამოსილ პირს) ამავე ფართში (პირველ-მე-7 საცხოვრებელ სართულზე) მის საკუთრებაში დარჩენილი ფართებიდან განკარგვის/იპოთეკით დატვირთვის უფლება ექნება მხოლოდ იმ ნაწილზე, რაც აღარ იქნება საჭირო დარჩენილი ვალდებულებების გასტუმრებისათვის. ამასთანავე, დარჩენილი ვალდებულებების გასტუმრებისათვის გათვალისწინებული ფართი უნდა იქნას არანაკლებ პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მოცულობების გათვალისწინებით. ამავე ქვეპუნქტის მიხედვით მინიჭებული განკარგვის უფლება შესაბამის ფართებზე, შპს ,,გელოვანს" მიენიჭოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით და პირობებით, ხოლო იპოთეკით დატვირთვის უფლება - მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

ზ) დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მისამართებზე - ქ. თბილისი, იასამნის ქN4 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის დაზუსტებითი/დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით ამ განკარგულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა"-„ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, უძრავ ქონებაზე შეზღუდვის რეგისტრაციის შესახებ ხელშეკრულების შპს ,,გელოვანთან" გაფორმება.

თ) ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მისამართზე, ქ. თბილისი, იასამნის ქ. N4, არსებული დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის შპს „გელოვანის" მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 2 ნოემბრის N22.1688.1828 განკარგულება. ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 2 ნოემბრის N22.1688.1828 განკარგულებით განსაზღვრული პირობა, გაუქმდეს შპს „გელოვანის" მიმართ არსებული ვალდებულება - უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის ნაწილში, დარჩეს ძალაში.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია" დააფიქსირა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

ამასთან, განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა -დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე - 18 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული, „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დადგენილი დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებების საფუძველზე, ითვალისწინებს, მისამართზე - ქ. თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ. N40 (ყოფილი ქუჩა აკური, N33, ქუჩა ალმასიანი N40, N42, N44, N46 (ნაკვეთი 35/31) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით მისამართზე - ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.350) ახლანდელი საკადასტრო კოდი: 01.14.01.007.399) არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის მითითებით, დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიას, 2023 წლის 27 ოქტომბერს და 2023 წლის 3 ნოემბერს განცხადებებით მიმართეს ფიზიკურმა პირმა შუქრი კაკაურიძემ და შპს „აკამ" და ითხოვეს მისამართზე - ქ. თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ. N40 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით მისამართზე - ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.350) არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, კომისიის მიერ, საკითხის, 2023 წლის 16 ნოემბრის სხდომაზე განხილვისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ, გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

✓ მისამართზე - ქ. თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ. N40 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, კომისიამ (ოქმი N4; 04.02.2020) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ეს გადაწყვეტილება შეთანხმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან (განკარგულება N20, 18.02.2020);

✓ დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ. N40 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ეს გადაწყვეტილება (N21.324.368; 17.03.2021) შეთანხმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან (N106; 19.03.2021);

✓ მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენებისათვის ი.მ.ა „აკურის N27,29,33 ალმასიანის N34,40,42,46"-ს საპრივატიზებო პირობით საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მისამართზე - ქ. თბილისი ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ

(საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.350) ახლანდელი საკადასტრო კოდი: 01.14.01.007.399) არსებული 7750 კვ.მ მიწის ნაკვეთი;

✓ **მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში განისაზღვრა:**

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) შეცვლა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ით;

ბ) მისამართზე - ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება - (კ-2) – 5.5-მდე

✓ წარდგენილი ფინანსურ-ეკონომიკური მოდელის მიხედვით, 2020 წლის მდგომარეობით, ფართის სახით გასაცემი ვალდებულება ჯამურად მოიცავდა 12 530 კვ.მ-ს. იპოთეკური ვალდებულებებისა და გასაცემი ქირისთვის ვალდებულება - თანხის სახით შეადგენდა ჯამურ თანხას 1 430 000 აშშ დოლარს;

✓ **ვალდებულების შესრულება უნდა მომხდარიყო შემდეგი სახით:**

ა) 2000 კვ.მ ფართის სახით გასაცემი ვალდებულების შესრულება მისამართზე - ქ. თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ. N40;

ბ) 10 530 კვ.მ ფართის სახით გასაცემი ვალდებულების შესრულება მისამართზე - ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ;

გ) იპოთეკარების მიმართ ვალდებულების შესრულება თანხის სახით (იპოთეკური ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის და ამავე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სარგებელის გათვალისწინებით). რის შედეგადაც მოხდებოდა იპოთეკით დატვირთული ბინების გათავისუფლება ამხანაგობის სასარგებლოდ. აღნიშნული ფართებით ამხანაგობა შეასრულებდა სხვა პირთა მიმართ არსებულ ვალდებულებებს;

✓ თანხის სახით გასაცემი ვალდებულებებიდან (ჯამურად 1 430 000 აშშ დოლარი) იპოთეკარების მიმართ ვალდებულებები შესრულდა ნაწილობრივ. კერძოდ შპს „აკამ" იპოთეკართა ნაწილს გადაუხადა იპოთეკური ხელშეკრულების შესაბამისად თანხები, ჯამურად - 380 600 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხის სანაცვლოდ იპოთეკით დატვირთული ფართის გამოთავისუფლება განხორციელდა შპს „აკას" სასარგებლოდ;

✓ 2020 წლის მდგომარეობით, როდესაც განისაზღვრა მხარდამჭერი ღონისძიებები, ამხანაგობას, ინვესტორს და იპოთეკარებს შორის იყო შეთანხმება, რომლის მიხედვით, იპოთეკარების მიმართ თანხის სახით გასაცემი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში აღარ წარმოიშობოდა მათ მიმართ შესაბამისი ფართების გაცემის ვალდებულება.

როგორც მომხსენებელმა მიუთითა, განმცხადებლების ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით:

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ ჯერ არ დაწყებულა მშენებლობა, რადგან უწევთ მშენებლობისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და მასალის ახალი საბაზრო ღირებულებით შეძენა, გაიზარდა სამშენებლო ხარჯი;

ბ) აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა დამატებით 2026 წლამდე დაზარალებულთა ქირით უზრუნველყოფა. ამასთან, ქირის სახით გადასახდელი დავალიანება 2023 წლამდე შეადგენს 314 000 აშშ დოლარს.

გ) იპოთეკით დატვირთული დარჩენილი ფართების ოდენობა მოიცავს 2510.3 კვ.მ-ს, რომლის ფარგლებშიც იპოთეკარების მიმართ თანხის სახით გასაცემი ვალდებულება ჯამურად შეადგენს 495 150 აშშ დოლარს.

დ) იპოთეკარები, რომელთა მიმართ დარჩა შესასრულებელი ვალდებულება, დღევანდელი მდგომარეობით ყოველ აცხადებენ თანხის სახით კომპენსაციაზე ამ ეტაპზე, იპოთეკარები ითხოვენ იმ ფართით დაკმაყოფილებას, რომელიც რეგისტრირებულია მათ სახელზე საჯარო რეესტრის აშოხაწერით. აღნიშნული ფართები - ჯამურად შეადგენს 2510,3 კვ.მ-ს.

ე) ასევე, გაიზარდა ფართის სახით გასაცემი ვალდებულება - 2020 წლის შემდეგ დასრულებული სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე. ამ ეტაპზე ჯამურად ფართის სახით გასაცემი ვალდებულებაა - 12 907 კვ.მ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, განმცხადებელთა მოთხოვნით, საჭიროა დამატებითი სარეალიზაციო ფართის გაზრდა 4386.31 კვ.მ-დე, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მითითებული ვალდებულებების სრულად შესრულება, ამასთან, მიუთითა, რომ დაინტერესებული პირები ითხოვენ:

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ, არსებულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდა - კ-2 - 6.1 -მდე (მომატების შემთხვევაში, კ-2-ის საანგარიშო ფართობი ამ ობიექტზე იქნება 47239.9 კვ.მ, ხოლო ორივე მისამართზე - ჯამურად (კ-2)-ის საანგარიშო ფართობი - განისაზღვრება 57245 კვ.მ-ით.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული სხვა მხარდამჭერი ღონისძიებები დარჩეს ძალაში.

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა, დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წევრების, შემდეგი მოსაზრების თაობაზე:

✓ იმის გათვალისწინებით რომ აღნიშნული ობიექტი არის დაუმთავრებელი მშენებლობა, არის უამრავი მშენებლობით დაზარალებული პირი, რომლებიც წლებია ელოდებიან კუთვნილ ფართს, ობიექტი ნაწილობრივ შესრულდა, აშენებული და დასრულებულია გარკვეული ნაწილი, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისამართზე - ქ. თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ. N40, არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების მიზნით, განისაზღვროს დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებები.

მომხსენებლისვე მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე იმსჯელა და გადაწყვიტა:

✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული ხელშემწყობი

ღონისძიებების ფარგლებში, დაინტერესებული პირის - შუქრი კაკაურიძის და შპს „აკას“ მიერ წარმოდგენილი განცხადებების და დოკუმენტაციის საფუძველზე, მისამართზე - ქ. თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ.N40 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ ახლანდელი არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ განისაზღვროს შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიება - მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2 განისაზღვროს 6.1-ით.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების თაობაზე.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, დედაქალაქის საკრებულოში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე - 19 საკითხად განსაზღვრული, „განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, განკარგულების პროექტზე თანდართული, სქემატური რუკით განსაზღვრულ ტერიტორიაზე განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის სტატუსის მინიჭების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

კომისიის თავმჯდომარემ, მოხსენების დასაწყისში, ყურადღება გაამახვილა, „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 2[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ შემდეგ ღონისძიებებზე:

✓ ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გარდა დაცული ტერიტორიებისა) საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიძლება შეიქმნას განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონა.
✓ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დადგენილებას საქართველოს მთავრობა იღებს ქ. თბილისის მერის მიმართვის საფუძველზე, რომელიც შეთანხმებულია ქ. თბილისის საკრებულოსთან და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.

მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე და აღნიშნა, რომ 2023 წლის 6 ნოემბერს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს განცხადებით მიმართა მოქალაქე ალექსანდრე ნამორაძემ, აღნიშნული განცხადების თანახმად კი, შპს „კრწანისი როიალ რეზიდენსი" დაინტერესებულია ქალაქ თბილისში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, 01.14.14.005.311 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 12250 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის შესყიდვით, ასევე, ზემოაღნიშნული კომპანია მოცემულ მიწის ნაკვეთზე მიზნად ისახავს მასშტაბური საინვესტიციო პროექტის განხორციელებას, რაც გულისხმობს ჩოგბურთის კორტების, პადელის მოედნების და შესაბამისი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და ოპერირებას - კომპანია გეგმავს არანაკლებ 25 მლნ. ლარის ინვესტიციის განხორციელებას.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ განცხადების თანახმად, ზემოაღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს ჩოგბურთისა და პადელის, როგორც სპორტის სახეობების განვითარების ხელშეწყობას და ზოგადად, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას, ვინაიდან, დღესდღეობით ჩოგბურთზე და პადელზე მოთხოვნა მზარდია, ხოლო აღნიშნულ სპორტულ სახეობებთან დაკავშირებული სპორტული ინფრასტრუქტურა დედაქალაქის მასშტაბით მწირია, ხოლო, აღნიშნულიდან გამომდინარე, მასშტაბური ინვესტიციის განხორციელების თვალსაზრისით და სპორტის განვითარების ხელშეწყობის კუთხით, კომპანიამ ითხოვა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი წესით განკარგვის საკითხის განხილვა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 6 ნოემბრის N6/60447 წერილის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ეცნობა შპს „კრწანისი როიალ რეზიდენსის" თხოვნა და ეცნობა შემდეგი:

- ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად საპრივატიზებო უძრავი ქონება მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 2-ში, ასევე, ექცევა არეალში რომელსაც შესაბამისი აქტით მინიჭებული აქვს განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის სტატუსი, ხოლო, გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული გარემოება წარმოადგენს ხელისშემშლელი ფაქტორს განმცხადებლის მოთხოვნის განხორციელებისთვის, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ითხოვა შესაბამისი ღონისძიებების გატარება კომპეტენციის ფარგლებში.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, 2023 წლის 9 ნოემბერს, გაცემულ კორესპონდენციაზე, რომლის თანახმადაც,

„სამინისტრომ განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ამა წლის 7 ნოემბრის №01-01233113466 წერილით წარმოდგენილი „განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის სტატუსის მინიჭების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" 2^1 პრიმა მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ არის წინააღმდეგი

დადგენილებაში გათვალისწინებულ ტერიტორიას მიენიჭოს განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის სტატუსი, ასევე, დადგენილების პროექტით გათვალისწინებული ტერიტორია, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 04 აგვისტოს N299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის საზღვრების თანახმად, არ წარმოდგენს სახელმწიფო ტყეს, ამასთანავე, პროექტით განსაზღვრული ტერიტორია არ მოიცავს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დაცული ტერიტორიების კატეგორიებს."

მოხსენების ბიუურულს, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ყოველივე მითითებულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა აღნიშნული პროექტი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილ იქნა, შეთანხმების მიზნით, ასევე, დასძინა, რომ განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტის თანახმად, ძალადაკარგულად ცხადდება ,,განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N637 განკარგულება.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრი ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიღება, მისთვის მიუღებელია, ვინაიდან, მისი მოსაზრებით, პროექტით წარმოდგენილი საკითხზე მსჯელობა და მასზე გადაწყვეტილების მიღება არ წარმოადგენს დედაქალაქის საკრებულოს უფლებამოსილების საგანს. ამასთან, დააფიქსირა პოზიცია, რომ მითითებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მიღების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადების დაცვით, გაასაჩივრებს "განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებას.

კომისიის თავმჯდომარემ მითითებულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის განხილვა, წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი, სამართლებრივი პროცედურული ღონისძიების ერთ-ერთ ეტაპს. ასევე, მან გააკეთა განმარტა, რომ ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, განკარგულების პროექტით წარმოდგენილი საკითხის თაობაზე, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს მთავრობის მიერ, სათანადო დადგენილების სახით, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა ემსახურება ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მიზნებს - რითაც დადგენილია, ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გარდა დაცული ტერიტორიებისა) საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის დადგენის/შექმნის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების

აუცილებლობა (ერთ-ერთი ეტაპი), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმების პროცედურასთან ერთად.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირა - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

ამასთან, განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თამთა კაკოიშვილი